რეგისტრირებულია
ვაკის რაიონის სასამართლოს
მიერ 10.02.1998 წელი
რეგისტრაციის №5/4-1566

ცვლილებები რეგისტრირებულია
ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ,
30.05.2005 და 13.07.2005 დადგენილებით
რეგისტრაციის №5/4-1566

წესდების ახალი რედაქცია
დამტკიცებულია პარტნიორის
29.09.2009 წლის №1 გადაწყვეტილებით

წესდების ახალი რედაქცია
დამტკიცებულია პარტნიორის
16.06.2011 წლის №01 გადაწყვეტილებით

წესდების ახალი რედაქცია
დამტკიცებულია პარტნიორის
10.10.2013 წლის №04 გადაწყვეტილებით

წესდების ახალი რედაქცია
დამტკიცებულია პარტნიორის
23.02.2016 წლის №02 გადაწყვეტილებით

წესდების ახალი რედაქცია
დამტკიცებულია პარტნიორის
08.11.2016 წლის №05 გადაწყვეტილებით

წესდების ახალი რედაქცია
დამტკიცებულია პარტნიორის
12.04.2018 წლის №01 გადაწყვეტილებით

წესდების ახალი რედაქცია
დამტკიცებულია პარტნიორის
11.03.2020 წლის №01 გადაწყვეტილებით

ახალი რედაქცია რეგისტრირებულია
ქალაქ თბილისის საგადასახადო
ინსპექციის მიერ 2007 წლის 17ივლისის
ბრძანებით №11467/006-5/4-1566 შპს
ინსპექციის უფროსის მოადგილე

ცვლილებები რეგისტრირებულია
ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის
მიერ, 06.07.2007 წელს.
ბრძანება №11319/006-5/4-1566

წესდების ახალი რედაქცია
დამტკიცებულია პარტნიორის
29.04.2010 წლის №1 გადაწყვეტილებით

წესდების ახალი რედაქცია
დამტკიცებულია პარტნიორის
21.03.2013წლის №01 გადაწყვეტილებით

წესდების ახალი რედაქცია
დამტკიცებულია პარტნიორის
15.02.2016 წლის №01 გადაწყვეტილებით

წესდების ახალი რედაქცია
დამტკიცებულია პარტნიორის
17.06.2016 წლის №04 გადაწყვეტილებით

წესდების ახალი რედაქცია
დამტკიცებულია პარტნიორის
27.10.2017 წლის №01 გადაწყვეტილებით

წესდების ახალი რედაქცია
დამტკიცებულია პარტნიორის
11.02.2019 წლის №01 გადაწყვეტილებით

წესდების ახალი რედაქცია
დამტკიცებულია პარტნიორის
22.01.2021 წლის №01 გადაწყვეტილებით

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი

წ ე ს დ ე ბ ა

ახალი რედაქცია

საქართველო,

თბილისი 2021 წელი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1 წინამდებარე წესდება არეგულირებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის (შემდგომში-უნივერსიტეტი) საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროცესს, მართვის პრინციპებს, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების უფლება მოვალეობებს, საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პრინციპებსა და უნივერსიტეტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

1.2 საზოგადოება არის იურიდიული პირი. იურიდიული პირის უფლებებს საზოგადოება იძენს დადგენილი წესით სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. საზოგადოების ორგანიზაციულ- სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შემდგომში _ საზოგადოება) საფირმო სახელწოდებით _ შპს **სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი.**

1.2[1] საზოგადოება არის იურიდიული პირი. იურიდიული პირის უფლებებს საზოგადოება იძენს დადგენილი წესით სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. საზოგადოების ორგანიზაციულ - სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შემდგომში _ საზოგადოება) საფირმო სახელწოდებით _ შპს **უნივერსიტეტი** გეომედი *[ამოქმედდეს, სასწავლო უნივერსიტეტი გეომედისათვის ავტორიზაციის მინიჭების თაობაზე (სტატუსი - უნივერსიტეტი), ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან].*

1.3 საზოგადობა შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

1.4 საზოგადოებას კანონმდებლობით დაშვებული სამეურნეო საქმიანობის განსახორციელებლად აქვს სრული სამეურნეო დამოუკიდებლობა.

1.5 საზოგადოება საკუთარ ვალდებულებებზე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით.

1.6 საზოგადოების იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, 0114, მეფე სოლომონ II-ის ქუჩა №4.

1.7 საზოგადოების სამეურნეო წელი ემთხვევა კალენდალურს, პირველი წლის გამოკლებით, რომელიც იწყება საზოგადოების რეგისტრაციის დღიდან და მთავრდება რეგისტრაციის წლის 31 დეკემბერს და შესაბამისად შეადგენს არასრულ სამეურნეო წელს.

1.8 საზოგადოების წესდების შეცვლა (მათ შორის, საწესდებო კაპიტალის შეცვლა და დამატებითი შენატანის დადგენა) შეიძლება მხოლოდ დამფუძნებლის გადაწყვეტილებით. დამფუძნებლის გადაწყვეტილებები მიღებული უნდა იქნეს წერილობით.

1.9 საზოგადოება საქმიანობას წარმართავს ამ წესდების, "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 2. საზოგადოების საქმიანობის საგანი

2.1 მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება;

2.2 სამედიცინო აპარატურის შემოტანა _ რეალიზაცია;

2.3 პროფილური ლიტერატურის გამოცემა, სასწავლო ვიდეო ფილმებისა და თვალსაჩინოებების წარმოება და რეალიზაცია;

2.4 გაცვლითი გარიგებები საქართველოსა და საზღვარგარეთის სხვადასხვა ორგანიზაციებთან და სასწავლო დაწესებულებებთან;

2.5 გამოფენა _ გაყიდვების მოწყობა;

2.6 მოსახლეობისათვის სტომატოლოგიური დახმარების აღმოჩენა;

2.7 ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც აკრძალული არ არის მოქმედი კანონმდებლობით.

2.8 საქმიანობის სახეებს, რომლებიც საჭიროებს სპეციალურ ნებართვას (ლიცენზიას) საზოგადოება ახორციელებს ლიცენზიის მიღების შემდეგ.

2.9. საზოგადოება უფლებამოსილია დააარსოს ფილიალები და წარმომადგენლობები თავისი მიზნების განსახორციელებლად.

მუხლი 3. უნივერსიტეტის მიზნები და ამოცანები

3.1 - შექმნას სტუდენტთა სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისათვის საუკეთესო პირობები, დაამკვიდროს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი და მომავალ განვითარებაზე ორიენტირებული უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა;
- სწავლის თანამედროვე მეთოდების გამოყენება;
- მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპების ხელშეწყობა;
- უნივერსიტეტის საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესების გაღრმავება;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების ეფექტურად განხორციელება;
- პროფესიონალი კადრების მომზადება, რომლებიც შეძენილი თეორიული ცოდნით და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით შეძლებენ ადაპტირებას ადგილობრივ და საერთაშორისო შრომითი ბაზრის მოთხოვნებსა და გამოწვევებზე;
- სტუდენტებისათვის დემოკრატიული პრინციპების პატივისცემისა და სოციალური პასუხისმგებლობის ჩამოყალიბება;
- არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის ქართული ენის სწავლება.

3.2. აღნიშნული მიზნების შესასრულებლად უნივერსიტეტი:

- ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი, მეორე საფეხურის და სამედიცინო/სტომატოლოგიური განათლების ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებს.
- ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი, მეორე, მესამე საფეხურის და სამედიცინო/სტომატოლოგიური განათლების ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებს *[ამოქმედდეს, სასწავლო უნივერსიტეტი გეომედიასათვის ავტორიზაციის მინიჭების თაობაზე (სტატუსი - უნივერსიტეტი), ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან]*;
- ღია კონკურსის საფუძველზე ახდენს მაღალკვალიფიციური სამეცნიერო და პედაგოგიური პოტენციალის მქონე აკადემიური პერსონალის შერჩევას;
- უზრუნველყოფს სამეცნიერო კვლევის, სწავლისა და სწავლების აკადემიურ თავისუფლებას;
- ქმნის სტუდენტებისათვის სწავლის, კვლევისა და თვითგანვითარების მაქსიმალურად მიმზიდველ გარემოს;
- ბიუჯეტის გარკვეულ ნაწილს ახმარს კვლევების განვითარებას;
- აყალიბებს სამეცნიერო კავშირებს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ;
- გამოსცემს სახლმძღვანელოებს და აქვეყნებს ახალ სამეცნიერო ნაშრომებს.

მუხლი 4. საზოგადოების იურიდიული სტატუსი

4.1. საზოგადოება არის კერძო სამართლის იურიდიული პირი - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

4.2. საზოგადოება თავისი შეხედულებისამებრ ფლობს, სარგებლობს, განაგებს და მართავს საკუთარ ქონებას.

4.3. საზოგადოებას უფლება აქვს თავისი სახელით დადოს ხელშეკრულებები, შეიძინოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, იკისროს ვალდებულებები; შეუძლია იყოს მოსარჩლე და მოპასუხე საარბიტრაჟო და სხვადასხვა სასამართლოებში.

4.4. საზოგადოებას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მოქმედებს თვითანაზღაურების და თვითდაფინანსების პრინციპებზე. უფლება აქვს გახსნას საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები, მათ შორის უცხოური ვალუტით, საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნების საბანკო დაწესებულებებში. მას აქვს ბეჭედი თავისი დასახელებით, შტამპები, ბლანკები და სხვა ატრიბუტები.

მუხლი 5. საზოგადოების საწესდებო კაპიტალი და დამფუძნებელი პარტნიორი

5.1. საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორია ფიზიკური პირი _ **მარინა ფირცხალავა** (დაბადებული 25.04.1950 წელს თბილისში, მცხ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31ა. პ/მ №11ID65781. პირადი №01009010446. გაც. იუსტიციის სამინისტროს მიერ 01.06.2012 წელს).

5.2. საზოგადოების საწესდებო კაპიტალია 9630 (ცხრა ათას ექვსას ოცდაათი) ლარი. საწესდებო კაპიტალის 100% ეკუთვნის მარინა ფირცხალავას.

5.3. საზოგადოების პარტნიორს უფლება აქვს გაზარდოს ან შეამციროს საწესდებო კაპიტალი. ცვლილებები საწესდებო კაპოტალში ძალაში შედის მხოლოდ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ. საწესდებო კაპიტალის შემცირება ან გაზრდა ხორციელდება პარტნიორის გადაწყვეტილებით.

მუხლი 6. საზოგადოების პარტნიორთა კრება (გადაწყვეტილება)

6.1. საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება. ვიდრე საზოგადოებას ჰყავს ერთი პარტნიორი კრების კომპეტენციას ახორციელებს იგი.

6.2. კრების კომპეტენციას განეკუთვნება:

ა. სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების განსაზღვრა;

ბ. წილთა შეძენა და გასხვისება, ასევე საწარმოთა შეძენა და ლიკვიდაცია;

გ. წარმოების სახეებისა და სამეურნეო საქმიანობის დაწყება და მათი შეწყვეტა;

დ. უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;

ე. სესხების და კრედიტების აღება, რომლებიც ცალკე ან მთლიანად აღემატება პარტნიორთა კრების მიერ დადგენილ ოდენობას;

ვ. პროკურის გაცემა და მისი გაუქმება;

ზ. წლიური შედეგების დამტკიცება და შედეგების გამოყენება;

თ. სხვა უფლებამოსილებები, რაც მეწამეთა შესახებ კანონით არის დადგენილი;

6.3. პარტნიორის გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს წერილობით.

6.4. პარტნიორთა კრება გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უმრავლესობით, თუ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს გადაწყვეტილების მიღების სხვა ფორმას.

მუხლი 7. ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

7.1. საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ეკისრება საზოგადოების დირექტორს, რომელიც ინიშნება პარტნიორთა კრების მიერ. დირექტორი ერთპიროვნულად წარმოადგენს საზოგადოებას მესამე პირებთან ურთიერთობაში.

7.2. დირექტორი საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვეს კეთილსინდისიერად; კერძოდ, ზრუნავდეს ისე როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში

მყოფი ჩვეულებრივი საღად მოაზროვნე პირი და მოქმედებს იმ რწმენით, რომ მისი მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისთვის. თუ დირექტორი არ შეასრულებს ამ მოვალეობას, წარმოშობილი ზარალისთვის პარტნიორის წინაშე პასუხს აგებს სრულად.

7.3. დირექტორი ინიშნება და თავისუფლდება პარტნიორის გადაწყვეტილებით. დირექტორი ვალდებულია დაიცვას საწარმოს შინაგანაწესი.

7.4. დირექტორი უფლებამოსილია:

ა. წარმოადგინოს საზოგადოება ნებისმიერი ორგანიზაციის და დაწესებულების წინაშე, რაც აგრეთვე მისი ვალდებულებაცაა.

ბ. დაამტკიცოს საზოგადოების შიდა ნორმატიული დოკუმენტები.

გ. საზოგადოების ბიუჯეტის ფარგლებში დაამტკიცოს საშტატო განრიგი.

დ. მიიღოს და გაათავისუფლოს საზოგადოების თანამშრომლები დამფუძნებელთან შეთანხმებით, წაახალისოს და დასაჯოს ისინი შინაგანაწესის შესაბამისად.

ე. დადოს გარიგებები, გასცეს მინდობილობები.

ვ. გახსნას ანგარიშები.

ზ. გამოსცეს საორგანიზაციო-განმკარგულებელი ხასიათის დოკუმენტები.

თ. გადაწყვიტოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საკითხები.

7.5. დირექტორი წარმოადგენს საზოგადოებას მესამე პირებთან ურთიერთობებში.

მუხლი 8. აკადემიური პერსონალი

8.1. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისა და ასისტენტებისაგან;

8.2. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნებიან პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი;

8.3. პროფესორები მონაწილეობენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებში ან/და წარმართავენ მათ;

8.4. ასისტენტი პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში;

8.5. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს;

8.6. პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ ექვსი წლის გამოცდილება. დამატებითი პირობები შეიძლება განისაზღვროს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ;

8.7. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ სამი წლის გამოცდილება. დამატებით პირობებს განსაზღვრავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო;

8.8. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი 3 ან 4 წლის ვადით;

8.9. ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი 3 ან 4 წლის ვადით.

8.10. დასაშვებია პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ ამ მუხლის 8.6 – 8.9 პუნქტებით გათვალისწინებული აკადემიური თანამდებობების დაკავების შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით

გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

8.11. შესაბამის აკადემიურ პერსონალთან განხორციელდეს ათვილირების შეთანხმების გათვორმება კანონმდებლობით დადგენილი წესითა და მოთხოვნების შესაბამისად.

8.12. ათვილირების წესი და პირობები განსაზღვრულია უნივერსიტეტის დებულებით.

მუხლი 9. სტუდენტი

9.1. სტუდენტის სტატუსის მინიჭება, სტუდენტის უფლებების დაცვა ხორციელდება „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სტუდენტის სტატუსის მინიჭება განსაზღვრულია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.

9.2 სტუდენტს უფლება აქვს:

- მიიღოს ხარისხიანი განათლება.
- მონაწილეობა მიიღოს მეცნიერულ კვლევაში.
- თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით.
- საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიოს წარმომადგენელი და იქნეს არჩეული სტუდენტური თვითმმართველობის, ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის მართვის წარმომადგენლობით ორგანოებში უმაღლესი განათლების კანონის და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად.
- თავისუფლად დააფუძნოს და/ან გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად.
- თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას.
- "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე სტუდენტს უფლება აქვს სწავლების მეორე წლიდან გადავიდეს სასწავლებლად სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და მოახდინოს მისთვის გამოყოფილი სახელმწიფო დაფინანსების ამ დაწესებულებში გადატანა.

9.3. სტუდენტი ვალდებულია:

ა) დაიცვას უნივერსიტეტის წესდება, დებულება და შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსის და უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულების მოთხოვნები.
ბ) დადგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა ის საგანი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია და რომლის სწავლება სავალდებულოა.
გ) ზრუნავდეს უნივერსიტეტის კეთილდღეობასა და წარმატებაზე.
დ) რეგულარულად დაესწროს მეცადინეობებს (ლექციებს, სემინარებს, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მეცადინეობებს).

9.4. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

- სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
ა) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);

ბ) უცხო ქვეყანაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა (გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა);
გ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;
დ) ფინანსური დავალიანება;

9.5. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

- სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
ა) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;
ბ) პირადი განცხადება;
გ) ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობა აკადემიური სარისხის მოსაპოვებლად დადგენილ ვადებში;
დ) ერთი და იმავე სავალდებულო სასწავლო კურსის სამჯერ მოსმენა და კრედიტის ვერმიღება;
ე) კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით სასჯელის აღსრულებაში ყოფნა;
ვ) ეთიკის კოდექსის დარღვევა (სტუდენტისათვის შეუფერებელი და არაეთიკური ქცევა);
ზ) გარდაცვალება;
თ) სტუდენტის სხვა უმაღლეს სასწავლებელში გადასვლა.
ი) სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის შემდეგ პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიმღები დაწესებულების წესდებასთან.

9.6. სტუდენტთა მობილობა

1. მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით და ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი.
2. მობილობის უფლება ასევე აქვს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირს, რომლებსაც ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს დაწესებულების სტუდენტის სტატუსი.
3. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში. ამ პუნქტის მიზნებისათვის დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის/ ვეტერინარის საგანმანათლებლო პროგრამები განიხილება აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადად. დაუშვებელია მობილობა პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამიდან ბაკალავრიატის საგანმანთლებლო პროგრამაზე.
4. მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი. თუ დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება, სტუდენტს მობილობის უფლება წარმოეშობა სწავლის პერიოდის ხანგრძლივობის მიუხედავად.

5. მობილობის პროცესში მონაწილეობის უფლება აქვთ როგორც აკადემიური დავალიანების, ასევე ნულოვანი კრედიტის მქონე სტუდენტებს, თუ ისინი ჩართული არიან სასწავლო პროცესში.
6. სტუდენტების მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ.
7. შიდა მობილობა გულისხმობს სტუდენტის მიერ არჩეული აკადემიური პროგრამის შეცვლას დაწესებულების ფარგლებში. შიდა მობილობა ცხადდება წელიწადში ორჯერ დაწესებულების მიერ დადგენილი წესის გათვალისწინებით.

9.7. სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობა.

- სტუდენტის დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება საქართველოს კანონით "უმაღლესი განათლების შესახებ", უნივერსიტეტის წესდებით, ეთიკის კოდექსითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის წესით.
- სტუდენტის მიმართ დისციპლინური ღონისძიების გატარების შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს სტუდენტის ნებართვა ან ადმინისტრაციის კანონიერი ინტერესი დაიცვას სხვისი უსაფრთხოება და კანონით დაცული უფლებები. ინფორმაცია სტუდენტის აკადემიური მოსწრებისა და მის მიმართ დისციპლინური ღონისძიების გატარების შესახებ უნდა ინახებოდეს განცალკევებულად. სტუდენტის შესახებ ინფორმაციის შენახვისას ადმინისტრაცია ვალდებულია იხელმძღვანელოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.
- სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნის წამოწყება არ უნდა ზღუდავდეს სტუდენტის უფლებას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში. სტუდენტს უფლება აქვს დაესწროს მისი საქმის განხილვას.

9.8. დისციპლინური დევნის განხორციელებისას სტუდენტს უფლება აქვს:
- წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ.
- დაესწროს დისციპლინური დევნის საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით.
- მიაწოდოს საბჭოს მის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები.
- მოითხოვოს მის მიმართ დისციპლინური დევნის შესახებ საკითხი განხილულ იქნას საჯარო სხდომაზე.
- სასამართლოში გაასაჩივროს უნივერსიტეტის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება.

მუხლი 10. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის სამეცნიერო -კვლევითი ინსტიტუტი.

10.1. ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (შემდგომში „ინსტიტუტი") არის უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეული, რომელიც ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და რომელსაც ჰყავს მართვის ორგანოები.
10.2. ინსტიტუტის ადმინისტრირებას ახორციელებს უნივერსიტეტი.
10.3. ინსტიტუტის მიზნები და ამოცანები:
ა) განახორციელოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა უნივერსიტეტის ძირითადი სამეცნიერო მიმართულებების შესაბამისად.

ბ) უზრუნველყოს ლაბორატორიული კვლევების ჩატარება, კვლევის შედეგების განზოგადება და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება.

გ) განახორციელოს უნივერსიტეტის ფაკულტეტებთან ერთად კვლევის შედეგების ინტეგრაცია სასწავლო პროცესში.

დ) უზრუნველყოს კვლევებში და სამეცნიერო საგრანტო პროექტებში უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის და სტუდენტების ჩართვა.

ე) ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასა და განვითარებას. მონაწილეობა მიიღოს საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომების შესრულებაში.

ვ) ითანამშრომლოს ადგილობრივ და უცხოეთის წამყვან სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან, მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში სამეცნიერო გრანტების, გაცვლითი სამეცნიერო პროგრამების ფარგლებში.

ზ) ორგანიზება გაუწიოს საერთაშორისო და ეროვნულ კონფერენციებს, სიმპოზიუმებს და სამუშაო შეხვედრებს, რომელიც მოემსახურება ინსტიტუტის კვლევების შედეგების წარმოჩენას.

10.4. ინსტიტუტის შექმნის გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო და ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

10.5. ინსტიტუტის სტრუქტურა შეიძლება ითვალისწინებდეს ძირითად და დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს.

10.6. ინსტიტუტის მართვის ორგანოებია ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და ინსტიტუტის დირექტორი.

10.7. ინსტიტუტის, მისი ხელმძღვანელობისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ინსტიტუტის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

10.8. ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლები და ინსტიტუტის დირექტორი ქმნიან ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს.

10.9. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილებები, უფლებამოსილების ვადა, არჩევისა და უფლებამოსილების შეწყვეტის წესი განისაზღვრება ინსტიტუტის დებულებით.

10.10. ინსტიტუტის სამეცნიერო-საორგანიზაციო და ადმინისტრაციულ საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი.

10.11. ინსტიტუტის დირექტორს, 5 წლის ვადით, ღია კონკურსის საფუძველზე ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და წარუდგენს დასამტკიცებლად უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

10.12. ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შერჩევის წესი და დირექტორის უფლებამოსილებები განისაზღვრებაინსტიტუტის დებულებით.

10.13. სამეცნიერო თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის საფუძველზე, რომელიც უნდა ჩატარდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების შესაბამისად.

10.14. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება 5 (ხუთი) წლის ვადით შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება.

10.15. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება 5 (ხუთი) წლის ვადით შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

10.16. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება 3 (სამი) წლის ვადით შეუძლია პირს, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

10.17. დასაშვებია აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობების შეთავსება.

10.18. ინსტიტუტის დაფინანსების წყაროებია: უნივერსიტეტის ბიუჯეტი, სამეცნიერო გრანტების ფარგლებში მიღებული შემოსავალი, სხვა შემოსავლები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

10.19. ინსტიტუტის საქმიანობა შეწყდება: უნივერსიტეტის რეორგანიზაციის, უნივერსიტეტის ლიკვიდაციის, პარტნიორის/დირექტორის გადაწყვეტილების საფუძველზე.

10.20. ინსტიტუტის დებულებაში ცვლილების შეტანის პროექტს, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მონაწილეობით, შეიმუშავებს ინსტიტუტის დირექტორი და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

მუხლი 11. დოქტორანტურის ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის წესი

11.1. დოქტორანტურის ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ უნივერსიტეტსა და უცხო ქვეყნის უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, დოქტორანტურის ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი და დიპლომის დანართი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.2. იმ პირზე, რომლის დიპლომი აღარ არსებობს ან გახდა გამოსაყენებლად უვარგისი, მოთხოვნისამებრ, გაიცემა დიპლომის დუბლიკატი.

[მუხლი ამოქმედდეს, სასწავლო უნივერსიტეტი გეომედისათვის ავტორიზაციის მინიჭების თაობაზე (სტატუსი - უნივერსიტეტი), ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან]

მუხლი 12. წლიური ანგარიში და შედეგების განაწილება.

12.1. წლიურ ანგარიშს ადგენს დირექტორი კანონით განსაზღვრული წესების შესაბამისად, იგი ხორციელდება შეფასების ყველა მოთხოვნათა დაცვით.

12.2. დირექტორი პასუხს აგებს წლიური ანგარიშის უტყუარობისთვის, არასწორად ან არასრულყოფილად შედგენისთვის.

12.3. საზოგადოების წმინდა მოგება სრულად ეკუთვნის პარტნიორს (პარტნიორებს) და გამოიყენება პარტნიორის (პარტნიორების) გადაწყვეტილების შესაბამისად.

12.4. დაუშვებელია საწესდებო კაპიტალის, როგორც მოგების განაწილება.

მუხლი 13. პასუხისმგებლობა.

13.1. საზოგადოება პასუხს აგებს თავის ვალდებულებებზე მთელი თავისი ქონებით.

13.2. პარტნიორი საზოგადოების ვალდებულებებზე პასუხს აგებს მხოლოდ კაპიტალში თავისი შესატანის ფარგლებში.

მუხლი 14. საზოგადოების ლიკვიდაცია.

14.1. საზოგადოების ლიკვიდაცია მოხდება დამფუძნებლის გადაწყვეტილებით.

14.2. საზოგადოების ლიკვიდაციას აწარმოებს დირექტორი. პარტნიორის შუამდგომლობით, თუ საამისო მნიშვნელოვანი საფუძველი არსებობს, ლიკვიდატორები შეიძლება დაინიშნონ იმ სასამართლოს მიერ, რომლის ტერიტორიაზეც საზოგადოებას აქვს ადგილსამყოფელი.

14.3. ლიკვიდატორებმა დანიშვნისთანავე უნდა შეადგინონ ბალანსი, საწარმოს საბუღალტრო წიგნებიდან ან სხვა წყაროებიდან ცნობილ კრედიტორებს საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ უნდა აცნობონ სპეციალური შეტყობინებით, ხოლო უცნობ კრედიტორებსა და იმ კრედიტორებს, რომელთა საცხოვრებელი ადგილი უცნობია, საჯარო განცხადებით და მოინვიონ ისინი მათი პრეტენზიების გაცხადებისთვის.

14.4. ლიკვიდატორებმა უნდა დაამთავრონ მიმდინარე საქმეები, განახორციელონ აქტივები და შეასრულონ საზოგადოების ვალდებულებები, თუ ბალანსიდან დავალიანება არ გამომდინარეობს. დავალიანების დადგენისთანავე ლიკვიდატორები მოვალენი არიან ამის თაობაზე აცნობონ სასამართლოს, რომელმაც უნა აღძრას საგაკოტრებო საქმე.

14.5. ლიკვიდირებული საზოგადოების ქონება, ვალების დაფარვის შემდგომ, ნაწილდება პარტნიორზე (პარტნიორებზე). პარტნიორს (პარტნიორებს) უბრუნდება ის ქონება, რაც მან (მათ) ჩადეს საზოგადოებაში მისი დაარსებისას კაპიტალში პარტნიორთა წილის შესაბამისად.

მუხლი 15. სხვა დებულებები.

15.1. თუ ამ წესდების რომელიმე დებულება გახდა ბათილი, ეს არ ახდენს გავლენას მთლიანად წესდების ნამდვილობაზე.

15.2. სასწავლო უნივერსიტეტი გეომედისათვის ავტორიზაციის მინიჭების თაობაზე (სტატუსი - უნივერსიტეტი), ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან შევიდეს შესაბამისი ცვლილება/ები უნივერსიტეტის ყველა შიდა მოქმედ რეგულაციებში და ხელშეკრულებებში.

15.3. წესდება შედგენილია 2 (ორი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად.

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის დამფუძნებელი პარტნიორი

მარინა თვირცხალავა